კანაფის მოხმარება სიმსივნით დაავადებულ ქალებში

მარიკა ალანია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასისტენტ - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

აბსტრაქტი

შესავალი: კანაფის ლეგალური სტატუსის ცვლილების გამო ბევრ ქვეყანაში დაშვებულია მისი სამკურნალო მიზნით გამოყენება. კანაფი სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ გამოყენების შესახებ ჯერ კიდევ ძველი ჩინეთის პერიოდიდანაა ცნობილი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კვლევებით გამოვლინდა კანაფის სიმსივნის საწინაამდეგო პოტენციალის არსებობა. CB1 და CB2 რეცეპორების ექსპრესია განაპირობებს სიმსივნის აგრესიულობას. ხოლო მათი რაოდენობა განსხვავებულია სიმსივნის ტიპისა და ლოკაციის მიხედვით. უჯრედულ დონეზე კანაბინოიდები მოქმედებენ უჯრედშორის სასიგნალო გზებზე, ავლენენ ანტი - ინვაზიურ, ანტი - პროლიფერაციულ და პროაპოპტურ მოქმედებას. კანაბინოიდების მიღება იწვევს სიმსივნური უჯრედების აუტოფაგიას, რაც სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლაში უმთავრესი მექანიზმია. გარდა ამისა, კანაბინოიდები გამოიყენება სიმსივნის მკურნალობის - ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიით გამოწვეული გვერდითი მოვლენების შესამსუბუქებლად.

მეთოდი: კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდი. ჩატარდა პირისპირი ჩაღრმავებული ინტერვიუ 30-65 წლის სიმსივნის დიაგნოზის მქონე ქალებში, ვინც მოიხმარდა ან ახლაც მოიხმარს კანაფს. მონაცემები დამუშავდა პროგრამით NVivo10.

შედეგები: კვლევის მონაწილეებმა კანაფის გამოყენება ტრადიციული მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენების შესამსუბუქებლად დაიწყეს. ყველა მათგანმა გამოხატა რწმენა და იმედი კანაფის სამედიცინო მოხმარების მიმართ. მათ ისაუბრეს კანაფის მოხმარების მიზნებსა და მიზეზებზე, აღნიშნეს ხელმისაწვდომობის პრობლემები და აუცილებლობა. ინტერვიუს მსვლელობისას გამოვლინდა მათი და მათი გარშემომყოფების, ასევე საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულება კანაფის პროდუქტების სამედიცინო მოხმარების მიმართ. აღინიშნა კანაფის მოხმარების ლეგალური ასპექტები და მზაობის არ არსებობა საზოგადოების მხრიდან, მიიღოს კანაფი სამკურნალო საშუალებად.

დასკვნა: კვლევის ყველა მონაწილემ აღნიშნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუჯობესება, მკურნალობაში პროგრესის არსებობა და ცხოვრების ხარისხის

გაუმჯობესება. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს საზოგადოების მხრიდან სტიგმისა და დისკრიმინაციის პრობლემა ქალების მიერ კანაფის მოხმარების მიმართ.

Introduction: Due to the change in the legal status of cannabis, its use for medicinal purposes is allowed in many countries. The use of cannabis against various diseases has been known since ancient Chinese. Studies over the past few decades have shown the anticancer potential of cannabis. Expression of CB1 and CB2 receptors is linked with level of tumor aggression. And their number varies according to the type and location of the tumor. At the cellular level, cannabinoids act on intercellular signaling pathways, exhibiting anti-invasive, anti-proliferative, and proapoptotic effects. Cannabinoids causes autophagy of tumor cells, which is a key anticancer mechanism. In addition, cannabinoids are used to alleviate the side effects of chemotherapy and radiotherapy.

Method: A qualitative method was used in the research. An in-depth interview was conducted with women diagnosed with cancer aged 30-65 years who had consumed or still consume cannabis. The data were processed by the program NVivo10.

Results: Study participants started using cannabis to alleviate the side effects caused by traditional treatments of cancer. All of them expressed faith and hope in the medical use of cannabis. They talked about the goals and reasons for cannabis use, noted the problems and necessity of access. The interview revealed the attitude of them and the people around them, as well as the public recognition towards the medical consumption of cannabis products. The legal aspects of cannabis use and the unwillingness of the public to accept cannabis as a remedy were mentioned.

Conclusion: All study participants noted an improvement in health status, progress in treatment, and improved quality of life. However, there is still the problem of stigma and discrimination on the part of society towards women who use cannabis.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, ქალბატონ ირმა კირთაძეს, კვლევის პორცესში გაწეული კონსულტირებისა და დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც დახმარება გამიწია რესპონდენტების რეკრუტირებაში.

მადლობას ვუხდი ყველა ჩემს რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველოს“ პრეზიდენტს ქალბატონ ანა მაზანიშვილს და „ვარდისფერი სივრცის“ ბენეფიციარებს თანამშრომლობისთვის.